განკარგულება:**g-27. 27242084**
თარიღი:**26/07/2024**

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 40

26 ივლისი 2024 წ.

ქ. თელავი

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 29 იანვრის №03 განკარგულებაში „თელავის მუნიციპალიტეტში 2024 წელს განსახორციელებელი ძეგლთა დაცვის პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის შესაბამისად,

მუხლი 1. შეტანილ იქნეს ცვლილება თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 29 იანვრის №03 განკარგულებაში „თელავის მუნიციპალიტეტში 2024 წელს განსახორციელებელი ძეგლთა დაცვის პროგრამის დამტკიცების შესახებ“.

1. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 29 იანვრის N03 განკარგულების დანართით დამტკიცებული „თელავის მუნიციპალიტეტში 2024 წელს განსახორციელებელი ძეგლთა დაცვის პროგრამა“ ჩამოყალიბდეს თანდართული ფორმით.

მუხლი 2. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

მუხლი 3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია თელავის რაიონულ სასამართლოში, მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. თელავი, დავით აღმაშენებლის გამზ. №41).

თენგიზი მთვარელიშვილი

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

დანართი

თელავის მუნიციპალიტეტში 2024 წელს განსახორციელებელი ძეგლთა დაცვის პროგრამა

№	ობიექტის დასახელება	განსახორციელებელი სამუშაოები	განხორციელების პერიოდი	თანხა (ლარი)
1	„კაკლის წყარო“	ძეგლის რეაბილიტაციისთვის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა	წლის განმავლობაში	13 000
2	ფსიტის ციხე და ქვედა ციხე	სადაზვერვო, საფიქსაციო სამუშაოების შესყიდვა	წლის განმავლობაში	35 000
3	დაბახნების გორა	კვლევითი, არქეოლოგიური სამუშაოების შესყიდვა	წლის განმავლობაში	30 000
4	დაბახნების გორა	კონსერვაციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის და სამუშაოების შესყიდვა	წლის განმავლობაში	55 000
5	არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობა	თელავის მუნიციპალიტეტის სოფლებში არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის კვლევა, სააღრიცხვო ბარათების შედგენა (მეორე ეტაპი)	წლის განმავლობაში	15 000
6	ბეჭდვითი მომსახურება	ანგარიშების, ალბომების, ბუკლეტების, გზამკვლევების, კატალოგების და კულტურულ მემკვიდრეობასთან დაკავშირებული სხვა ბეჭდვითი მომსახურების შესყიდვა	წლის განმავლობაში	15 000
7	ყორჩიბაშიშვილების სამხრეთ-აღმოსავლეთ ბურჯი	რეაბილიტაციის საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის და სამუშაოების შესყიდვა	წლის განმავლობაში	80 000
8	სანებართვო მოსაკრებელი	სანებართვო ან ნებართვის გაგრძელების მოსაკრებელი	წლის განმავლობაში	500

9	ჭადრის ხე	დროებითი საინფორმაციო/გამაფრთხილებელი დაფა	წლის განმავლობაში	500
10	ჭადრის ხის მიმდებარე ტერიტორია	ხის გარშემო არსებული მოძველებული ინფრასტრუქტურის დემონტაჟის და ახლის მოწყობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა	წლის განმავლობაში	10 000
11	ჭადრის ხე	კვლევითი სამუშაოები, დიაგნოსტიკა და სამწლიანი სამოქმედო გეგმის შედგენა	წლის განმავლობაში	15 000
12	ჭადრის ხე	ჭადრის ხის ვარჯის სხვლის, ფორმირების და ფიტოსანიტარული სამუშაოების შესყიდვა	წლის განმავლობაში	22 000
13	ჭადრის ხის მიმდებარე ტერიტორია	საინფორმაციო, ენერგოეფექტური დაფის მოწყობის სამუშაოების შესყიდვა	წლის განმავლობაში	15 000
	მთლიანი ბიუჯეტი			**306 000**